



რეგისტრაციის N 56/36

საქართველოს სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ფგზ N1

“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ ”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ა. შ.

თორნიკე შერმადინი

„ 01 “ 12 2017 წელი

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში 56/36

სარჩევი

ტერმინთა განმარტებები.....	3
ინფორმაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესახებ	4
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა.....	5
1.1 პირობითი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	5
1.2.1 სხვა მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოთხოვნები.....	5
1.2.2 სხვა ხარჯები	6
1.2.3 არასაოპერაციო შემოსავლები	6
1.2.4 არასაოპერაციო ხარჯები.....	6
2.1 კონსოლიდაციის პროცესი	7
3. სხვა საკითხთა აზრები	8
3.1 საბიუჯეტო სახსრები	8
3.2 ინვენტარიზაცია	8
3.3 ვადაგადაცილებული მოთხოვნები	8
3.4 შრომის ანაზღაურება	9
3.5 შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამა	10
4. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.....	11
5. აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით.....	12
ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)	14
ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში	15
ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში.....	16
ფორმა N4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში.....	17
ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში.....	18
განმარტებითი შენიშვნები	19

ტერმინთა განმარტებები

სამინისტრო - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

სამინისტროს აპარატი - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი;

მინისტრი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი;

ადრიცხვის ინსტრუქცია - საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული ადრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;

სააგენტო - ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

ინფორმაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

სამინისტროს 2016 წლის ბიუჯეტის გეგმა (ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2016 წლის გეგმა			
		სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტი	კრედიტი
37 00	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	311,100	295,000	1,930	14,170
	მომუშავეთა რიცხოვნობა	1,259	1,259	-	-
	ხარჯები	206,575	201,991	1,430	3,154
	შრომის ანაზღაურება	20,770	20,770	-	-
	არაფინანსური აქტივების ზრდა	13,775	13,759	-	16
	ფინანსური აქტივების ზრდა	90,750	79,250	500	11,000

ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება¹ გადანაწილებულია შემდეგნაირად (ათას ლარებში):

საბალანსო ერთეულის დასახელება	330,256	100%
სამინისტროს აპარატი	83,042	25%
ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო	165,060	50%
სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო	43,582	13%
სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო	23,293	7%
სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	9,341	3%
სსიპ - სოფლის მეურნეობის ლაბორატორია	3,438	1%
სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო	2,500	1%

¹ ფინანსური ანგარიშგების "ფორმა N2-ის" მიხედვით, გარდა ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა, შემოსავლებმა შეადგინა 11,710 ათასი ლარი.

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობას

1.1 პირობითი მოსაზრება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს², მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად ასახავს სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2 პირობითი მოსაზრების საფუძველები

1.2.1 სხვა მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოთხოვნები

2015 წლის 10 აგვისტოს ჩუქების ხელშეკრულებით სააგენტოს საკუთრებაში არსებული შპს „მარცვლეულის ლოჯისტიკის კომპანია“ გადაეცა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“. აღნიშნული ფაქტის შესახებ საფინანსო სამსახურისთვის ცნობილი გახდა 2015 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდგომ. გამომდინარე აქედან, 18,736,046 ლარის ღირებულების კაპიტალში განხორციელებული შენატანები, რომელიც წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაციის შესაბამისად ჩამოწერილია 2016 წლის საანგარიშო პერიოდში ფორმა N4-ში „არასაოპერაციო ხარჯის“ სახით, მიეკუთვნება 2015 წლის ხარჯს. აღნიშნული არ შეესაბამება აღრიცხვის ინსტრუქციის³ მოთხოვნებს.

სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში არასაოპერაციო ხარჯად აღიარებულია სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციის“ 2,700,000 ლარით შემცირებული აქციები. ორგანიზაციის განმარტებით, აღნიშნული წარმოადგენს 2012 წელს გადარიცხული დაფინანსების თანხას, რომელიც 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში შეცდომით აისახა „აქციებისა და კაპიტალის“ მუხლში. გამომდინარე იქიდან, რომ განხორციელდა წინა წლებში გაწეული ხარჯის კორექტირება, ნაცვლად კაპიტალის შესაბამისი მუხლის საწყისი ნაშთის კორექტირებისა, იგი აღიარებულია 2016 წლის „არასაოპერაციო ხარჯად“, რაც არ შეესაბამება აღრიცხვის ინსტრუქციის⁴ მოთხოვნებს. შესაბამისად, ფორმა N4-ში აღნიშნული თანხით გაზრდილია 2016 წლის „არასაოპერაციო ხარჯები“.

2. „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება. დანართები 1-დან 12-ის ჩათვლით (იხ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე www.sao.ge)

3 მე-14 მუხლის მე-10 პუნქტი.

4 მე-14 მუხლის მე-10 პუნქტი.

სულ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფორმა N1-ში „გრძელვადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების“ საწყისი ნაშთი და ფორმა N4-ში 2016 წლის „არასაოპერაციო ხარჯები“ გაზრდილია 21,436,046 ლარით.

1.2.2 სხვა ხარჯები

სსიპ „სურსათის ეროვნულ სააგენტოს“ მიერ შეძენილი 1,646,921 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგები, მცირეფასიანი აქტივები და ძირითადი აქტივები სსიპ „შემოსავლების სამსახურისთვის“, ნაცვლად „გრანტის“ მუხლისა, გადაცემულია „სხვა ხარჯების“ მუხლით, რაც არ შეესაბამება აღრიცხვის ინსტრუქციის⁵ მოთხოვნებს. შესაბამისად, ფორმა N2-ში 1,646,921 ლარით გაზრდილია „სხვა ხარჯები“ და ამავე თანხით შემცირებულია „გრანტები“ (ხარჯების ნაწილში).

სააგენტოს 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე წლის ხარჯად არის წარმოდგენილი ვალდებულებების კლების მუხლით ბიუჯეტიდან შპს „მექანიზატორისთვის“ ანაზღაურებული 427,560 ლარი, რომელიც წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მიეკუთვნება 2015 წლის საანგარიშგებო პერიოდს და აღრიცხვის ინსტრუქციის⁶ მოთხოვნების შესაბამისად, ამავე პერიოდში უნდა აღიარებულიყო ხარჯად. გამომდინარე აქედან, 427,560 ლარით არის გაზრდილი 2016 წლის ანგარიშგებაში ფორმა N2-ში წარმოდგენილი „სხვა ხარჯები“.

სულ, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფორმა N2-ში „სხვა ხარჯები“ გაზრდილია 2,074,481 ლარით, „გრანტები“ (ხარჯების ნაწილში) შემცირებულია 1,646,921 ლარით, ხოლო ფორმა N1-ში „მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების“ მუხლის საწყისი ნაშთი - 427,560 ლარით.

1.2.3 არასაოპერაციო შემოსავლები

სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში „არასაოპერაციო შემოსავლად“ არის აღიარებული მიმდინარე და სადებულო ანგარიშებზე დარიცხული 1,571,898 ლარის საპროცენტო სარგებელი, რაც არ შეესაბამება აღრიცხვის ინსტრუქციის⁷ მოთხოვნებს. შედეგად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არასწორად არის წარმოდგენილი, კერძოდ: აღნიშნული თანხით გაზრდილია ფორმა N4-ში წარმოდგენილი „არასაოპერაციო შემოსავლები“ და შემცირებულია ფორმა N2-ში წარმოდგენილი „სხვა შემოსავლები“.

1.2.4 არასაოპერაციო ხარჯები

სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში „არასაოპერაციო ხარჯად“ არის აღიარებული სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის“ 2016 წლის 15 მარტს გადაცემული შპს „საკვების წარმოების კომპანიის“ კაპიტალი (საერთო ღირებულებით 4,843,585 ლარი). აღრიცხვის ინსტრუქციის⁸ მოთხოვნების შესაბამისად, აღნიშნული ოპერაცია უნდა ასახულიყო „საოპერაციო ხარჯების“ (გრანტები) მუხლში. შედეგად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფორმა N4-ში წარმოდგენილი „არასაოპერაციო ხარჯები“ გაზრდილია 4,843,585 ლარით და შემცირებულია ფორმა N2-ში წარმოდგენილი „გრანტები“ (ხარჯების ნაწილში).

5 53-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

6 მე-9 მუხლის მე-11 პუნქტი.

7 51-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

8 44-ე მუხლის მე-11 პუნქტი.

აუდიტს წარმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ, უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ვართ სამინისტროსგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2. მნიშვნელოვან საკითხთა აზიზი

2.1 კონსოლიდაციის პროცესი

როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებშია აღწერილი, სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია (დაექვემდებარა გამორიცხვას) საბიუჯეტო სახსრებით მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები 191,583 ლარის ოდენობით, ხოლო საკუთარი სახსრებით მიღებული შემოსავლები და გაწეული ხარჯები 991,551 ლარის ოდენობით ელიმინირებული არ არის (არ დაექვემდებარა გამორიცხვას). იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი.

აღრიცხვის ინსტრუქციის⁹ მოთხოვნების შესაბამისად, კონსოლიდაციის პროცესისას შიდა ჯგუფური ოპერაციები უნდა იყოს ელიმინირებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია გარკვეული ტრანზაქციების ელიმინირება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია ელიმინაციის პროცესის შეუძლებლობის დასაბუთება.

შემოსავალი	ხარჯი	თანხა
სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	სსიპ- სურსათის ეროვნული სააგენტო	911,908
ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო	სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი	64,931
სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო	ა(ა)იპ- სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო	7,254
სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი	სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო	3,906
სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი	სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო	1,974
სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	680
სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი	ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო	648
სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო	250
ჯამი:		991,551¹⁰

9 მე-18 მუხლის 29-ე პუნქტი.

10 ჩვენ მიერ დათვლილსა და სამინისტროს მიერ განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილ თანხას შორის სხვაობა შეადგენს 243 ლარს.

3. სხვა საკითხთა აზიზი

3.1 საბიუჯეტო სახსრები

შეღავათიანი აგროკრედიტის და მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსებას სააგენტო ახორციელებს კომერციული ბანკების მეშვეობით, საიდანაც ხორციელდება საბიუჯეტო სახსრების ფაქტობრივი ხარჯვა. აღნიშნული პროგრამების დასაფინანსებლად, სააგენტოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყო 100,223,447 ლარი, საიდანაც აუთვისებელი 393,469 ლარი არ არის აღიარებული ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებად. აღნიშნული არ შეესაბამება აღრიცხვის ინსტრუქციის¹¹ მოთხოვნებს. შედეგად, ფორმა N2-ში აღნიშნული თანხით გაზრდილია ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება და ამავე თანხით შემცირებულია ფორმა N1-ში სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების ნაშთი.

3.2 ინვენტარიზაცია

სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის“ საინვენტარიზაციო კომისიის მიერ არ დასრულებულა მარაგების და აქტივების 2016 წლის სავალდებულო ინვენტარიზაცია. კერძოდ, არ არის შედგენილი შედარების აქტები და საინვენტარიზაციო კომისიის ოქმი შედეგების შესახებ. აღნიშნულით კი დარღვეულია ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-3 მუხლის მოთხოვნები.

3.3 ვადაგადაცილებული მოთხოვნები

სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში სხვა მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური აქტივების ნაშთი მოიცავს 17,640,093 ლარის დებიტორულ დავალიანებებს, რომლებიც წარმოქმნილია 2004-2009 წლებში „ფინანსური აქტივის“ მუხლით, მთავრობის განკარგულებების საფუძველზე, სხვადასხვა იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების შედეგად. მათ შორის, 10,448,610 ლარი წარმოადგენს მოთხოვნას შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიმართ, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო.

ზემოაღნიშნული სესხების გაცემის მიზნობრიობას წარმოადგენდა სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების ხელშეწყობა.

ორგანიზაციის დასახელება	ძირითადი თანხა	დარიცხული %	პირგასამტებლო	სულ
შპს - „სიონი-მ“	1,250,000	187,335	1,606,083	3,043,418
შპს - „ალაზანი-მ“	990,000	182,875	1,562,902	2,735,777
შპს - „მტკვარი-მ“	1,650,000	257,694	464,748	2,372,442
შპს - „კოლხეთი-მ“	675,000	157,783	1,464,190	2,296,973
სულ:	4,565,000	785,687	5,097,923	10,448,610

საქართველოს მთავრობის 2010 წლის განკარგულებებით განხორციელდა სესხების რესტრუქტურირაცია 5 წლის ვადით. შპს „საქართველოს მელიორაცია“ შექმნილია 2012 წელს ზემოთ ჩამოთვლილი 4 კომპანიის ბაზაზე.

11 57-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

დანარჩენი 7,191,483 ლარის დებიტორული დავალიანების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილის სახით:

ორგანიზაციის დასახელება	წარმოშობის წელი	სულ
შპს - „მარცვალი“	2006	1,576,750
შპს - „ბეგი კომპანი“	2006	1,440,338
შპს - „ღვარები“	2006	1,389,190
შპს - „ერედვი“	2004	70,000
ფ/პ „ზვიად კობერიძე“	2004	70,000
შპს - „გორა-2003“	2004	28,072
სს - „სოფლტექსერვისი“	2004	36,878
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სამელიორაციო სისტემის მართვის დეპარტამენტის ლიკვიდაციის შედეგად გადმოსული სხვადასხვა დებიტორული დავალიანება	2006	2,580,255
სულ:		7,191,483

ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გარდა, სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში სხვა მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური აქტივების ნაშთი მოიცავს 885,173 ლარს, რომელიც წარმოადგენს სააგენტოს მიერ სამეწარმეო კოოპერატივ „ქვემო ნიქოზზე“ (შემდგომში - მსესხებელი) 2012 წლის 21 აპრილს გაცემულ სესხსა და მასზე დარიცხულ პროცენტს. სესხის მიზანი იყო სოფელ ქვემო ნიქოზში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ერთწლიანი კულტურების ორგანიზებული პირველადი წარმოება. ხელშეკრულების თანახმად, მსესხებელს სესხის ძირითადი თანხის 30% უნდა დაებრუნებინა სესხის გაცემიდან 2 წლის შემდეგ, ხოლო დარჩენილი თანხა - მესამე წლის ბოლომდე.

2013 წლის 21 მაისს სააგენტოსა და მსესხებელს შორის გაფორმდა შედარების აქტი, რომლის თანახმად, დავალიანება სააგენტოს მიმართ შეადგენდა 800,521 ლარს (764,226 ლარი - ძირი და 36,295 ლარი - დარიცხული პროცენტი).

სულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 18,525,266 ლარის ისეთ დებიტორულ დავალიანებებს, რომელთა ამოღების ალბათობა მცირეა.

3.4 შრომის ანაზღაურება

სამინისტროს აპარატის ყველა თანამშრომელს დანიშნული აქვს ყოველთვიური დანამატი მინისტრის ბრძანებით (ჯერ - 6 თვით, შემდეგ - 3-3 თვით. საფუძველი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი). სსიპ-ების თანამშრომლებზე დანამატები განსაზღვრულია უწყების ხელმძღვანელის ერთი ბრძანების საფუძველზე, წინასწარ, მთელი წლის გათვალისწინებით (მინისტრის ბრძანებით მათი უწყებისათვის დამტკიცებული დებულების შესაბამისად) სხვადასხვა ოდენობით.

სამინისტროს სისტემაში თანამშრომლებზე სულ 2016 წელს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულია 27,347,029 ლარის საკასო ხარჯი, მათ შორის, დანამატი 3,176,504 ლარი, რაც „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული საკასო ხარჯის 11.6%-ს შეადგენს.

დანამატების ცხრილი ორგანიზაციების მიხედვით:

კოდი	დასახელება	წინასწარ ბრძანებით დანამატის მიმღები საშტატო რაოდენობა	ბრძანებით დანიშნული ყოველთვიური დანამატი
37 02 01	სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო	513	129,400
37 01 01	სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი	159	99,362
37 03 01	სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო	50	25,035
37 04 01	სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი	36	16,350
37 01 05	სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო	8	3,675
სულ:		766	273,822

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, დანამატის კატეგორია მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს, მათ შორის, განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის საზღაურს. ხოლო ერთი ბრძანების საფუძველზე, წინასწარ მთელი წლის განმავლობაში დანამატის დანიშვნა თანამდებობრივი სარგოს ხასიათს უფრო ატარებს, ვიდრე დანამატის, რაც გამართლებულ პრაქტიკად ვერ ჩაითვლება. დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების სათანადო გამჭვირვალობას, ვინაიდან ბრძანებები ზოგადია და არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

3.5 შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამა

შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში გამოვლინდა 11 შემთხვევა, როდესაც ბანკების მიერ გაცემული სესხის სარგებლის წლიური პროცენტი იმაზე მეტია, ვიდრე ეს განკარგულებით იყო განსაზღვრული. სააგენტომ მიმართა ბანკებს, ხარვეზის გამოსწორების მოთხოვნით, რაც გულისხმობს ფაქტობრივად არსებული სარგებლის პროცენტსა და განკარგულებით განსაზღვრულ პროცენტს შორის სხვაობის თანხის ანაზღაურებას ბენეფიციართა სასარგებლოდ.

4. ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში უნდა გაამჟღავნოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

5. აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ISSAI - ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი - უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესაძლებლობად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობაზე.
- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას.
- დავასკვნით ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირების საკითხი.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს. აგრეთვე, უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ

აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე, ჩვენ პასუხს ვაგებთ ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

- ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილ მნიშვნელოვან შედეგებზე, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა ხელმოწერა:

სახელი, გვარი

ხელმოწერა

ბიჭიკო ზარქუა



(წამყვანი აუდიტორი)

ანა ალავერდაშვილი



(წამყვანი აუდიტორი)

რაინ ყუფუნია



(წამყვანი აუდიტორი)

ანა ბახტაძე



(აუდიტორი)

გიორგი დავითაშვილი



(აუდიტორი)

ნიკოლოზ ანთაძე



(აუდიტორ-სტაჟიორი)

ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

დასახელება	2016 წლის 31 დეკემბერი	2015 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები	28,355,845	49,807,136
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	55,398,164	38,733,593
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	11,126,024	29,450,095
სხვა მატერიალური მარაგები	5,950,365	3,871,812
სულ მოკლევადიანი აქტივები:	100,830,398	121,862,636
გრძელვადიანი აქტივები		
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1,181,150,534	1,113,231,224
სტრატეგიული მარაგები	-	-
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	679,403	848,891
ძირითადი აქტივები	53,947,076	50,664,087
ფასეულობები	-	-
არაწარმოებული აქტივები	8,746,454	7,143,143
სულ გრძელვადიანი აქტივები:	1,244,523,467	1,171,887,345
ბალანსი	1,345,353,865	1,293,749,981
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	-	-
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	7,090,379	6,500,521
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	7,090,379	6,500,521
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3,300,000	4,300,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:	3,300,000	4,300,000
სულ ვალდებულებები:	10,390,379	10,800,521
კაპიტალი		
აქტივების წმინდა ღირებულება	1,320,841,578	1,261,060,410
გაუნაწილებელი მოგება	14,121,908	21,889,050
დაუფარავი ზარალი	-	-
სულ კაპიტალი:	1,334,963,486	1,282,949,460
ბალანსი	1,345,353,865	1,293,749,981

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტი	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	2015 წელი
ბიუჯეტიდან დაფინანსება	330,255,465	-	330,255,465	314,310,656
შემოსავლები	5,789,699	5,920,220	11,709,919	42,826,871
გადასახადები	-	-	-	-
სოციალური შენატანები	-	-	-	-
გრანტები	3,585,347	144,847	3,730,194	34,640,474
სხვა შემოსავლები	2,204,352	5,775,373	7,979,725	8,186,397
ა) შემოსავლები საკუთრებიდან	-	1,525	1,525	24,135
ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	5,757,807	5,757,807	4,201,050
გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	2,182,119	1,554	2,183,673	3,880,249
დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	2,477	-	2,477	2,801
ე) სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	19,756	14,487	34,243	78,162
სულ:	336,045,164	5,920,220	341,965,384	357,137,527
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	20,664,139	2,218,648	22,882,787	22,484,316
საქონელი და მომსახურება	28,365,429	2,222,885	30,588,314	30,542,668
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	4,256,636	182,820	4,439,456	3,994,778
პროცენტი	-	-	-	45,702
სუბსიდიები	82,372,470	1,452,093	83,824,563	90,583,643
გრანტები	1,125,737	73,827	1,199,564	55,438,812
სოციალური უზრუნველყოფა	190,652	12,898	203,550	212,409
სხვა ხარჯები	110,040,519	8,463,365	118,503,884	267,312,210
სულ:	247,015,582	14,626,536	261,642,118	470,614,538
ფინანსური შედეგი	89,029,582	(8,706,316)	80,323,266	(113,477,011)

ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	59,781,168	(7,767,139)	52,014,029
კორექტირებები:	23,803,873	634,533	24,438,406
ცვეთა (+)	4,256,636	182,820	4,439,456
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	(1,010,040)	84,585	(925,455)
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	(1,860,303)	(218,251)	(2,078,554)
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები ზრდა/კლება (-/+)	170,819	(1,330)	169,489
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	22,000,281	241,448	22,241,729
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	246,480	345,261	591,741
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	83,585,041	(7,132,606)	76,452,435
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან			
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	7,649,594	186,298	7,835,892
ძირითადი აქტივები	7,646,884	186,298	7,833,182
არაწარმოებული აქტივები	2,710	-	2,710
წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	(7,649,594)	(186,298)	(7,835,892)
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	(89,057,044)	(16,701)	(89,073,745)
წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	-	(1,000,000)	(1,000,000)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(89,057,044)	(1,016,701)	(90,073,745)
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	(13,121,597)	(8,335,605)	(21,457,202)
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	29,646,639	20,160,488	49,807,127
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	16,525,042	11,830,794	28,355,836

ფორმა N4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტი	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
ნაშთი წლის დასაწყისისათვის	1,261,060,410	21,889,050	1,282,949,460
არასაოპერაციო შემოსავლები	24,480,234	2,028,489	26,508,723
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	1,958,930	451,274	2,410,204
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	22,521,304	1,577,215	24,098,519
არასაოპერაციო ხარჯები	50,090,856	203,702	50,294,558
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	22,188,505	331	22,188,836
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	27,902,351	203,371	28,105,722
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	3,637,792	885,613	4,523,405
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული	3,637,792	-	3,637,792
ვალდებულებებით მოგების გადასახადი	-	885,613	885,613
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	89,029,582	(8,706,316)	80,323,266
ნაშთი წლის ბოლოს	1,320,841,578	14,121,908	1,334,963,486

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის	ფაქტობრივი (საკასო) ხარჯი	გადახრა % ფაქტობრივ (საკასო) ხარჯსა და დაზუსტებულ გეგმას შორის	დარიცხული ხარჯი	გადახრა დარიცხულ და ფაქტობრივ (საკასო) ხარჯს შორის
ხარჯები	206,575,000	222,416,866	107.67%	222,587,597	100.08%	247,015,582	24,427,984
მათ შორის:	-	-	-	-	-	-	-
შრომის ანაზღაურება	20,770,000	20,753,400	99.92%	20,664,407	99.57%	20,664,139	(268)
არაფინანსური აქტივების ზრდა	13,775,000	10,173,600	73.86%	7,647,709	75.17%	-	(7,647,709)
ფინანსური აქტივების ზრდა	90,750,000	100,916,000	111.20%	99,496,221	98.59%	-	(99,496,221)
ვალდებულებების კლება	-	523,634	-	523,938	100.06%	-	(523,938)

განმარტებითი შენიშვნები

შესავალი

2016 წლის 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ფორმები, მომზადდა მოდიფიცირებული საკასო მეთოდის შესაბამისად.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგი ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშგებებს 2016 წლის 31 დეკემბრისათვის:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი
2. სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო
3. სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი
4. სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო
5. სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია
6. სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო
7. ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფუნქციონირებადი ერთეულის“ დამკვეთის საფუძველზე, ხოლო სააღრიცხვო პოლიტიკა უცვლელად გამოიყენება მთლიანი პერიოდის განმავლობაში.

დაფინანსების წყაროები: ბიუჯეტიდან დაფინანსება, საკუთარი შემოსავლები, გრანტი

ძირითადი საკმეოება:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

- ა) სოფლის მეურნეობის დარგის სტრატეგიის შემუშავება;
- ბ) სოფლის მეურნეობის დარგის სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მიზნით ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება ან მათ მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
- გ) აგროსასურსათო სექტორში შემოსავლების ზრდისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისათვის ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით;
- დ) სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სურსათის წარმოება-რეალიზაციაში საერთაშორისო გამოცდილების გავრცელებისათვის ხელშეწყობა;
- ე) კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებისათვის ხელშეწყობა, თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და საერთაშორისო პროგრამების მართვა;
- ვ) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემა და სანებართვო-სალიცენზიო პირობების შესრულების ზედამხედველობა;

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ზ) დარგების მიხედვით პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა;

თ) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და ტექნოლოგიების განახლებისა და ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა.

2. სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო

ა) სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობისა და ხარისხის დაცვის უზრუნველყოფა, ჰიგიენური, ვეტერინარულ-სანიტარული და ფიტოსანიტარული მოთხოვნებისა და წესების დაცვაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

ბ) პესტიციდების, აგროქიმიკატების, ვეტერინარული პრეპარატების (საშუალებების) და მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაცია და კონტროლი;

გ) წყლის სასაქონლო პროდუქციისათვის კატეგორიის მინიჭება;

დ) ცხოველების განსაკუთრებით საშიში სნეულებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-სამკურნალო და სალიკვიდაციო ღონისძიებების ორგანიზება;

ე) საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვა;

ვ) კერძო ვეტერინარული საქმიანობის კოორდინაცია და ზედამხედველობა;

ზ) ნებართვებისა და სერტიფიკატების გაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

თ) კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

3. სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი

ა) სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სურსათის წარმოების ხელშეწყობა, ახალი ტექნოლოგიების კვლევა-დანერგვა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა ცნობადობის ამაღლება;

ბ) სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში რისკის შეფასების უზრუნველყოფა;

გ) ბიომეურნეობის განვითარების ხელშეწყობა;

დ) მცენარეთა და ცხოველთა აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნების ხელშეწყობა;

ე) თესლისა და სარგავი მასალების სტანდარტების შემუშავება და სერტიფიცირება.

4. სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო

ა) საქართველოში მევენახეობა - მეღვინეობის დარგის რეგულირება და ამ მიზნის უზრუნველსაყოფად ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) დარგის განვითარების, მევენახეობა - მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ხელშეწყობის მიზნით, კომპეტენციის ფარგლებში, ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან სამომხმარებლო ბაზრის დაცვა;

გ) საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა, ქართული ღვინის პოპულარიზაცია, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება;

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

დ) ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიან სასმელებზე, შესაბამისობისა და წარმოშობის სერტიფიკატების გაცემა;

ე) ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების ეტიკეტირების კონტროლი;

ვ) კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ადმინისტრაციული სახდელის დადების მიზნით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა.

5. სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია

ა) ცხოველთა (მათ შორის, ფრინველი, თევზი, ფუტკარი) დაავადებების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა; ცხოველური და მცენარეული წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, ცხოველთა საკვებისა და ნედლეულის, სასმელი წყლის ექსპერტიზა, ხარისხის, უსაფრთხოების მაჩვენებლებისა და საკვებად ვარგისიანობის დადგენა;

ბ) პათოლოგიური მასალის, ცხოველური და მცენარეული წარმოშობის პროდუქტებისა და ნედლეულის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, ცხოველთა საკვებისა და ნედლეულის, სასმელი წყლის მიკრობიოლოგიური, ქიმიოტოქსიკოლოგიური და რადიოლოგიური გამოკვლევების ჩატარება;

გ) ადამიანისა და ცხოველებისათვის საერთო საშიში დაავადებების გაჩენის რისკის შეფასება, დაავადების გაჩენის შემთხვევაში და/ან სერომონიტორინგის სამუშაოებისათვის სინჯების (პათმასალის) აღება. დაავადების კერის სალიკვიდაციო და საკარანტინო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება;

დ) ცხოველების გადამდები სნეულებების აღმძვრელების, მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკა;

ე) ახალი სადიაგნოსტიკო მეთოდების, დანადგარ-მოწყობილობებისა და სადიაგნოსტიკო საშუალებების აპრობაცია და დანერგვა.

6. სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

ა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის განვითარების მიზნით, შესაბამისი პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის კონსულტაციების გაწევა სამართლებრივ, ინსტიტუციონალურ, წარმოების ტექნოლოგიებსა და სხვა საკითხებში;

გ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზის შექმნა, სადაც აისახება ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ განხორციელებული, მიმდინარე ან/და განსახორციელებელი საქმიანობის, ასევე მოყვანილი და რეალიზებული მოსავლის/გაწეული მომსახურების სახეობის, რაოდენობის და სხვა მონაცემების შესახებ;

დ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭება, შეჩერება და შეწყვეტა.

არაფინანსური აქტივები:

შეფასება:

აქტივი შეფასებულია ისტორიული ღირებულებით.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება:

ამორტიზაციის (ცვეთის) დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

დებიტორული/კრედიტორული დავალიანებები:

დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები წარმოადგენს, როგორც მიმდინარე - ავანსად გადახდილ, ასევე ვადაგადაცილებულ დავალიანებებს.

ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

070 გრაფაში ასახულ თანხაში მონაწილეობას იღებს აგრეთვე ბალანსის დანართ 1-ში N1432 ანგარიშზე ნაშთი წლის ბოლოს - 5,975,235 ლარი, ვინაიდან აღნიშნული თანხა წარმოადგენს დონორების მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „ფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით გადარიცხულ თანხებს, არ მონაწილეობს ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშის არაფინანსური აქტივების შესყიდვაში.

160-ე გრაფაში ასახული არაფინანსური აქტივების შესყიდვის თანხა 1,887 ლარით მეტია დანართ N3-ის საკასო ხარჯზე, რაც გამოწვეულია „ძირითადი აქტივის შეძენით ვალდებულების კლების“ მუხლიდან.

ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილებას (260-ე გრაფა) და ფულადი სახსრების საწყისსა და საბოლოო ნაშთებს შორის სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით გაწეული საკასო ხარჯი (საკუთარი სახსრებიდან) მეტია მიღებული აქტივის ღირებულებაზე, ვინაიდან ჩათვლილი იქნა 5,908 ლარის დღ.

„საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ინსტრუქციის მე-17 მუხლის (კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება) 29-ე პუნქტის შესაბამისად გამოირიცხა ეკონომიკური ერთეულების შიგნით განხორციელებული აქტივების მიღება-გასვლის ოპერაციები (191,582 ლარის).

ამასთანავე, ისეთი ოპერაციები, რომლებიც ეკონომიკურ ერთეულებს შორის ხორციელდება სხვადასხვა დაფინანსების წყაროებით, როგორც აქტივების მიღება-გასვლა (72,185 ლარის), ასევე მომსახურების გაწევა და ანაზღაურება (919,123 ლარის) კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არ დაექვემდებარა გამორიცხვას, ვინაიდან აღნიშნული ოპერაციები იწვევს წმინდა ღირებულებასა და საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალს შორის ცვლილებას.

1431-ანგარიშზე - მოთხოვნები საქონლისა და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით-ნაშთი წლის დასაწყისში ასახულია ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოზე, ცენტრალური აპარატიდან მთავრობის შესაბამისი განკარგულებებით გადარიცხული თანხები - 16,199,795 ლარი, რომელიც ნაერთ ბალანსში ხვდება ცენტრალური აპარატის ბალანსიდან.

აღნიშნული თანხა ასევე არის ასახული ფულადი სახით საკუთარი სახსრების ანგარიშგებაზე, რომელიც ნაერთ ბალანსში ხვდება ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ბალანსიდან.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული თანხა ნაერთ ანგარიშგებაში წლის დასაწყისში ასახულია ორმაგად, ერთი მხრივ 1431 ანგარიშზე, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ფულადი სახსრების ნაშთი 1220 ანგარიშზე, ამასთანავე, ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სააგენტო გახდა საბიუჯეტო ორგანიზაცია და მისი საკუთარი სახსრების ხარჯვა ხორციელდება ხაზინის მეშვეობით და გასულ წლებში მიზნობრივად გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი ნაშთის განაწილება ხდება შესაბამისი მიზნობრიობით, ხოლო ამ თანხების მიზნობრივად მიმართვაზე პასუხისმგებელია შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაცია, წლის ბოლოს ცენტრალური აპარატის ბალანსში 1431 ანგარიშზე რიცხული თანხა -16,199,795 ლარი ჩამოიწერა ხარჯებში. ვინაიდან აღნიშნული ოპერაცია გამოიწვევს წმინდა ღირებულებასა და საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალს შორის ცვლილებას, აქედან გამომდინარე, არ განხორციელდა აღნიშნული თანხის გამორიცხვა.

